

## საღვთო ლიტურდია - ეკლესიის მსახურების უმაღლესი გამოხატულება

(17/10/2021)

ჩვენს წმინდა ტაძრებში ყოველდღიურად აღესრულება სხვადასხვა ღვთისმსახურებები. იგალობება გალობები, იკითხება და აგრეთვე იგალობება ფსალმუნები ძველი აღთქმიდან, მღვდელი ადავლენს ლოცვით თხოვნას, იკითხება ნაწყვეტები წმინდა წერილიდან. ეკლესიამ დაადგინა შემდეგი ყოველდღიური მსახურებები:

საღამოს ლოცვა, რომელიც ტარდება ყოველ საღამოს და რომლითაც იწყება შემდეგი დღის ღვთისმსახურება. საღამოს ლოცვაზე იგალობება დიდებული სულში ჩამწვდომი გალობა „წმინდაო, მშვიდო“.

შუა ღამის მსახურება, რომელიც წესით სრულდება შუა ღამისას რომლის დროსაც იგალობება „სიძე მოვალს შუაღამისას...“

დედის ლოცვა რომელიც განსაზღვრულია დაიწყოს მზის ამოსვლამდე და რომლის ბოლოსაც იგალობება დიდებული გალობა : „დიდება შენდა, რომელმაც გვიჩვენა ჩვენ ნათელი...“

ასევე აღესრულება ღვთისმსახურება: პირველი საათის, მიძღვნილი მსოფლიო ნათელისადმი, ჩვენი უფალი იესო ქრისტესადმი, მესამე სახის ( ახლანდელი დროით - დილის 9 საათი ), გალობებისა და ლოცვების მნიშვნელობა რომელიც გვაბრუნებს სულთმოფენობის მოვლენასთან, მეექვსე საათის ( 12 სთ ახლანდელი დროით ), მიძღვნილი უფლის ჯვარზე გაკვრასთან და მეცხრე საათი ( დღევანდელი შუადღის 3 სთ ), სადაც ჯვარზე გაკრულმა უფალმა მიმადლა თავისი სული მამა ღმერთს.

საეკლესიო კალენდრის მიხედვით ამ ღვთისმსახურებებს ემატება სხვა მსახურებები, როგორცაა საღამოს ლოცვა - დიდი და მცირე, დაუჯდომელები და სავედრებელი კანონები ღვთისმშობლისა და წმინდანების მიმართ, პანაშვიდები, მიცვალებულების მოკლე პანაშვიდები და სხვა.

ყველა ეს მსახურებები საოცარი და მიმზიდველია, მათ ზეცამდე აჰყავთ ჩვენი სულები და შეიცავენ ყველა თვისებას სრულყოფილი ლოცვებისას, რომელშიც ჩვენ გამოვხატავთ სამწმინდა ღმერთისადმი ჩვენს დიდებას, ჩვენს მადლიერებას მისი უსაზღვრო წყალობის გამო, სინანულის ჩვენი ნებითი თუ უნებლიე ცოდვების გამო, ჩადენილის არ ცოდნის ან დაუდევრობის გამო, ვიღებთ ძალას და მადლს ჩვენი სულიერი გმირობის გამო და ყოველდღიური სიძნელების გადალახვის გამო. რეგულარული დასწრება ყოველდღიურ მსახურებებზე ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიისა, მოაქვს მორწმუნეებისათვის ძალიან დიდი სარგებელი.

თუმცა - ღა განსაკუთრებით უნდა ავღნიშნოთ, რომ რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ღვთისმსახურების შედეგი, რაც არ უნდა ღვთისმოსავობა გააღვიძოს ჩვენს სულებში, არც ერთი მათგანი არ შეედრება სიდიადით და სისავსით საღვთო ლიტურდიას! ჩვენ რომ გვდომებოდა შეგვედარებინა მზის სისტემას,

ვიტყოდით, რომ საღვთო ლიტურდია - ეს მზეა, რომელიც ყველგან ანათებს, ხოლო ყველა დანარჩენი მსახურებები - ეს მზის თანამგზავრები არიან, რომლებიც მის შუქს ირეკლავენ. ამგვარად ოცდაოთხსაათიანი ლიტურდიულ მზეს აქვს თავისი ცენტრი და ათვლის წერტილი საღვთო ლიტურდია. მასში, საღვთო ლიტურდიაში, სრულდება ეკლესიის განმწმენდი ქმედებები და მორწმუნეების კურთხევა. თუმცა არიან ისეთი მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომლებსაც თავიანთი უცოდინრობის გამო ერევათ საღვთო ლიტურდია სხვა მსახურებებთან, რომლის შესახებაც ვისაუბრეთ. რა მიზეზი აყენებს საღვთო ლიტურდიას სხვა მსახურებებთან შედარებით უფრო მაღლა? ეს არის ზიარების საიდუმლო. ერთი საათის განმავლობაში, როცა გრძელდება ლიტურდია, სრულდება საიდუმლოებათა საიდუმლო, რომელიც დაადგინა და გადასცა თავად ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს საიდუმლო სერობის დროს, დიდი ხუთშაბათის ღამეს სანამ დაიჭერდნენ და ჯვარზე გააკრავდნენ. სამი წმინდა მახარებელი ( მათე, 26:26-29, მარკოზი, 14:22-25 და ლუკა, 22:14-22 ) აღწერენ, თუ როგორ შეასრულა უფალმა სერობის საღამოს ზიარების საიდუმლო, აქცია ღვინო თავის პატიოსან სისხლად, პური თავის წმინდა ხორცად და პირველად აზიარა თავისი მოსწავლეები!

ძალიან შთამბეჭდავია ის, რომ პავლე მოციქული აღწერს თითქმის იგივე სიტყვებით, როგორც სამი წმინდა მახარებელი, უფლის მიერ საიდუმლო ზიარების გადმოცემის ამბავს და რომ ეს ამბავი მან არა ადამიანებისგან მოისმინა, არამედ როგორც წერს: „რამეთუ მე მოვიღე უფლისგან, რომელიცა მიგეც თქვენ, რამეთუ უფალი იესო ქრისტე ღამესა მას რომელსა მიეცემოდა, მოიღო პური ჰმადლობდა, განტეხა და თქუა: „ მიიღეთ და ჭამეთ; ესე არს ხორცი ჩემი, თქვენთვის გატეხილი; ამას ჰყოფდით მოსახსენიებლად ჩემდა“. ეგრეთვე სასუმელი იგი შემდგომად სერობისა, და თქუა: „ ესე სასუმელი ახალი რჩული არს სისხლისა ჩემისა; ამას ჰყოფდით, რაოდენ - გზისცა სუმიდეთ ჩემდა მოსახსენიებლად“. რამეთუ რაოდენ - გზისცა შჭამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკუდილსა უფლისა მიუთხრობდით, ვიდრემდის მოვიდეს" ( 1კორ.11:23-26 ).

ამ უბრალო სიტყვებში ჩადებულია უდიდესი სიღრმე სულიერი მნიშვნელობების, რომელიც ჩვენ უნდა მოვიძიოთ, მივუახლოვდეთ მათი მნიშვნელობის გაგებას, რამდენადაც გვამლევს ამას ჩვენი ინტელექტუალური და სუკიერი ძალები. კიდევ უფრო ძნელია ღრმა მნიშვნელობის გაგება იმისა, რაც არის შემოფარგლული თქმულის და ქმედებისა უფლის მიერ საიდუმლო სერობაზე, რადგანაც ჩვენს წინაშე არაჩვეულებრივი საიდუმლოა! რაც ზუსტად ვგებულობთ ეს ისაა, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე რაც უფრო უახლოვდებოდა თავის მოსწავლეებთან განშორების ჟამს, მით უფრო მეტ სიყვარულს ავლენდა მათ მიმართ. იოანე, სიყვარულის მოციქული, როგორც მას უწოდებდნენ, წერს: „ უწინარეს დღესასწაულისა მის პასექისა იცოდა იესომ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი, რათა განვიდეს ამიერ სოფლით და მივიდეს მამისა, რამეთუ შეიყუარნა თვისნი იგი ამას სოფელსა შინა და სრულიად შეიყუარნა იგინი" (ინ. 13:1).

უფლის სიყვარულის ნაყოფს თავისი მოსწავლეების მიმართ წარმოადგენს ზიარების საიდუმლოს დადგენა, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ შემდეგ ქადაგებაში.